საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 10 ივნისი, 2021 წელი

დრო: 14:00 -15:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
4. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი“
6. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
7. ნატო არღვლიანი - ,ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“
8. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
9. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
10. მანანა დევიძე - კავკასიის ეკოლოგია
11. მარი კიკვაძე - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

განსახილველი საკითხები:

1. საერთო კრების ორგანიზება
2. მესამე სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შეჯამება

მესამე სამუშაო ჯგუფის სეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ნინო ჩხობაძემ. მან სამუშაო ჯგუფის წევრებ გააცნო სეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინეული საკითხები.

თავდაპირველად, სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განიხილეს ყოველწლიური საერთო კრების ორგანიზების საკითხი.

მომდევნო კვირაში, 14 ივნისს, დაგეგმილია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყოველწლიური საერთო კრების ჩატარება ონლაინ პლატფორმის, Zoom-ის გამოყენებით. ყოველწლიურ საერთო კრებაზე პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მოისმენენ პლატფორმის საქმიანობის ანგარიშს და გაიმართება საკოორდინაციო საბჭოს არჩევნები. ეროვნული პლატფორმის სამდივნოს წარმომადგენელმა, მესამე სამუშაო ჯგუფის წევრებს, დეტალურად გააცნო საერთო კრების ორგანიზებასთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალები. ასევე მიაწოდა ინფორმაცია ელექტრონული კენჭისყრის პროცედურასა და საკოორდინაციო საბჭოს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, კოორდინატორმა ისაუბრა მესამე ჯგუფის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და მიღწევებზე. მნიშვნელოვანი იყო მესამე სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული განხილვები სხვადასხვა თემებზე. ასევე აქტიურად იმართებოდა სექტორული შეხვედრები თემატურ უწყებებთან.

აღნიშნულ შეხვედრაზე, ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, ლაშა ტუღუშმა, მადლობა გადაუხადა ჯგუფის კოორდინატორს და წევრ ორგანიზაციებს, აქტიური მუშაობისთვის.

მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, შეხვედრაზე დაასახელა საერთო კრებაზე მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატები, რომლებიც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას.

მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატებად დასახელდნენ:

1. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
2. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი“

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევანჭურაძე